საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მნა

მნა, ხეობის ტიპის მყინვარი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი გვერდითი ქედის – ხორხის სამხრ. ფერდობზე, მდ. მნის აუზში. აქვს მერიდიანული მიმართულება. ფერდობის მაღალი დახრილობის გამო მყინვარი მორფოლოგიურად დაკიდული ტიპისაა და სამხრეთული ექსპოზიცია აქვს. იგი მნის აუზის ყველაზე დიდი მყინვარია. მისი ფართობია 2,60 *კმ*^{2}, სიგრძე – 3,37 *კმ*. მყინვარი ზ. დ. 5360 *მ*-ზე მთავრდება. მ-ის ენის ბოლო დაფარულია მორენებით. საველე კვლევებისა და უახლეს კოსმოსურ სურათებზე დაკვირვებით აშკარად ჩანს, რომ ამ ზომის მყინვარებში მ. საქართველოში პირველია თავისი უკანდახევის მაჩვენებლებით. ბოლო 54 წლის განმავლობაში მისი ფართობი 18,49%-ით შემცირდა.